ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4745805

ნომერი: AR1717095

თარიღი : 06.11.2019

გაცემის თარიღი : 11.11.2019

გაცნობის თარიღი : 11.11.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი VI , კორპუსი 4 , მიმდებარე ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი VI , კორპუსი 4 , მიმდებარედ (ნაკვეთი 33/018);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588
- თბილისი, მოსკოვის გამზ, კორპ. 1, ბინა 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
"ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: კონსტრუქციული დასკვნის მე-2 პუნქტის ჩანაწერზე დაყრდნობით , რომელშიც აღნიშნულია რომ იგეგმება " სახურავის გამოცვლა ლითონის კონსტრუქციით , ისე როგორც დანართშია ასახული " და არსებული და საპროექტო ნახაზებით დგინდება, რომ იცვლება გადახურვა მთლიანად ორ ქანობიანი (შუა ნაწილისკენ ჩაღრმავებით ) გადახურვა იცვლება ერთ ქანობიანით რადგან შენობა არ წარმოადგენს I კლასის შენობას მისი საქმის წარმოება უნდა წარიმართოს არსებული შენობის კლასის გათვალისწინებით.

ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ზონისთვის (სზ–6) განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია: კ1–0,5 კ2–2,5 კ3–0,3 (ნაკვეთის მინიმალური ფართია 600 კვ.მ სიღრმე– 25., სიგანე – 15 მ.) ვინაიდან, თქვენი მიწის ნაკვეთი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულს, მისი სამშენებლოდ განვითარება არ არის შესაძლებელი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.